

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლითაც ახლებურად მოწესრიგდა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობა. თუმცა პრაქტიკამ ცხადყო, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე საქართველოს დედაქალაქის - თბილისის კარი და თბილისთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები საჭიროებს დახვეწასა და პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად კოდექსის ნორმების ახლებურ რეგულირებას. არსებული მდგომარეობით ხშირია შემთხვევები, როდესაც საკითხის გადაწყვეტა ჭიანჭურდება, რისი მიზეზიც კანონმდებლობით დადგენილი მრავალსაფეხურიანი და ხანგრძლივი პროცესებია. კოდექსის მოქმედი რედაქციით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ზედმეტად შეზღუდულია და აღმასრულებელი ფუნქციები გარკვეულწილად შეთავსებული აქვს წარმომადგენლობით ორგანოს, რაც ხშირად ხდება იმის მიზეზი, რომ აღმასრულებელი ორგანო ვერ ახორციელებს ეფექტურ ფუნქციონირებას, ვერ იღებს დროულ გადაწყვეტილებას და ვერ ახერხებს გამოვლენილ პრობლემებზე დროულ რეაგირებას. არსებული რეგულაციების გამო ვერ ხერხდება მუნიციპალიტეტის ეფექტური მომსახურებით დაინტერესებული მოქალაქეების დროული დაკმაყოფილება, რაც გარკვეულწილად განპირობებულია ბიუროკრატიული პროცედურებით.

კოდექსით თბილისს, როგორც დედაქალაქს მინიჭებული აქვს განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა. მართალია გარკვეული განსხვავებები სხვა მუნიციპალიტეტებისაგან ამ კუთხით თბილისს გააჩნია, თუმცა ეს განსხვავებები უმეტეს შემთხვევაში არა არსებითია. ამდენად დედაქალაქის განსაკუთრებული სტატუსი აღარ არის გამყარებული არსებული ნორმებითა და რეგულაციებით. მოქმედი კოდექსით თბილისი, ფაქტობრივად მოქცეულია ყველა სხვა მუნიციპალიტეტისათვის გათვალისწინებულ რეგულაციაში და მისი „განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა“ მხოლოდ ჩანაწერად არის დარჩენილი;

კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა ისეთი პრობლემური საკითხები, როგორიცაა:

ა) დედაქალაქის ქონებაზე არსებული დაინტერესება ცხადყოფს, რომ იმისათვის რათა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ფიზიკური თუ იურიდიული პირების ინტერესები, მოზიდულ იქნენ ინვესტორები, დაზოგილ იქნეს ადამიანური რესურსი, აღმოიფხვრას ბიუროკრატია აუცილებელია ახლებურად ჩამოყალიბდეს თბილისში ქონების მართვისა და განკარგვის მარეგულირებელი ნორმები;

ბ) პროცედურებისა და მექანიზმების სირთულე, მათი შეუსაბამობა მოქალაქეთა მზარდ დაინტერესებასა და მუნიციპალიტეტის მიერ ეფექტური დახმარების გაწევის მოლოდინთან. მათი დახვეწისა და გაუმჯობესების აუცილებლობა, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის უფლებები და ინტერესები და

მათ მიეცეთ შესაძლებლობა სრულად და დროულად ისარგებლონ თვითმმართველობის მიერ შემოთავაზებული მომსახურებით;

გ) იმისათვის რათა, ეფექტურად და დროულად განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული პირების მართვა, მნიშვნელოვანია კოდექსში შევიდეს ისეთი ცვლილებები, რომლებიც გაამარტივებენ იურიდიულ პირებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის პროცედურებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს პრაქტიკაში გამოვლენილი სირთულეებიდან გამომდინარე იმ ხარვეზების გამოსწორება, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობას აფერხებს და იწვევს ადამიანური რესურსების გაუმართლებელ ხარჯვას.

ცვლილებების შედეგად გაიზრდება თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის ეფექტიანობა, დაჩქარდება ყველა ის პროცესი, რომელიც არსებითი და მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მერიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

აღმოიფხვრება ბიურიკრატია და მუნიციპალიტეტი შეძლებს, უმოკლეს ვადებში დააკმაყოფილოს დაინტერესებული პირების განაცხადები, რაც გაზრდის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურობას და მის მიმართ მოსახლეობაში არსებულ ნდობის ხარისხს.

გამოთავისუფლდება ადამიანური რესურსი და დრო, რომელიც მიმართული იქნება მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად.

გაუმჯობესდება და დაჩქარდება მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის პროცედურები და დაიხვეწება მათი მართვის პროცესები.

დაწესდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის მოქნილი სისტემა, რაც შესაძლებელს გახდის არა მარტო მოქალაქეთა კონკრეტული განაცხადების დროულად დაკმაყოფილებასა და მათთვის კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე მეტი ალტერნატივის შეთავაზებას, არამედ მსხვილი საინვესტიციო პროგრამების განხორციელებას, ინვესტორთა მოზიდვასა და დედაქალაქის დაინტერესებაში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების ეფექტურად გადაჭრას. აღნიშნული კი თავისთავად გამოიწვევს მუნიციპალიტეტის შემოსავლის გაზრდას. აღნიშნული შესაძლებელს გახდის, აკუმულირებული შემოსავლების ხრჯზე, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებების ფარგლებში, მთელი რიგი ახალი სოციალური, ჯანდაცვის, კულტურული თუ სხვა მნიშვნელოვანი პროგრამების მოსახლეობისათვის შეთავაზებას. გარდა ზემოთ თქმულისა, მუნიციპალიტეტის მიერ მოზიდული ინვესტიცია იძლევა შესაძლებლობას, გაჩნდეს მოსახლეობის დასაქმების ახალი შესაძლებლობები.

მკაფიოდ გაიმიჯნება სხვა დანარჩენი მუნიციპალიტეტებისგან თბილისის, როგორც დედაქალაქის, განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა და დამკვიდრდება ის რეგულაციები, რომლებიც თბილისის მუნიციპალიტეტს განასხვავებენ სხვა თვითმმართველობებისაგან და რომელიც რეალურად გამომდინარეობს თბილისის მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი საკითხების სიუხვიდან, მასშტაბებიდან და მნიშვნელობიდან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსია მოქმედი კოდექსის დახვეწა და მასში ისეთი რეგულაციების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება საქართველოს დედაქალაქის თბილისის განსაკუთრებული სტატუსი და უფლებამოსილებები, რომელთა არსებობაც უაღრესად

მნიშვნელოვანია მის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობის რაოდენობიდან და მის წინაშე მდგარი საკითხების მასშტაბებიდან გამომდინარე.

თბილისის მერის ფუნქციებს დაემატა სათათბირო ორგანოების კომისიების შექმნა (**73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი**). კოდექსის არსებული რედაქციით მერს მხოლოდ საბჭოებისა და სამუშაო ჯგუფების შექმნა შეუძლია. თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ სხვადასხვა სიტუაციაში მერმა სწორედ კომისიები უნდა შექმნას და არა რაიმე სხვა ფორმის სათათბირო ორგანოები. ამდენად აღნიშნული ცვლილებით კოდექსში გამოსწორდება ის ჩანაწერი, რომელიც პრაქტიკაში ქმნის პრობლემებს.

კანონპროექტის მიხედვით ცვლილება შედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის მარეგულირებელ დანაწესშიც (**75-ე მუხლის „დ.ბ“ ქვეპუნქტები**). ჩნდება ახალი რეგულაცია, რომლითაც თბილისის მთავრობა უფლებამოსილი იქნება საკუთრებაში გადასცეს მოძრავი ქონება და ფინანსური სახსრები თავის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოძრავი ქონების საკუთარი ა(ა)იპ-ებისათვის საკუთრებაში გადაცემის შეუძლებლობა სერიოზულ პრობლემებს ქმნის საკითხების ეფექტურად გადაჭრის კუთხით. მაგალითად: პრობლემები შეიქმნა მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებისათვის ისეთი სახის მოძრავი ქონების გადაცემის საკითხების გადაჭრისას, როგორცაა: მედიკამენტები, ქიმიური რეაქტივები, საწვავი და ა.შ. მსგავსი ქონების სარეგულობაში გადაცემა აზრს მოკლებულია, ხოლო საკუთრებაში გადაცემის კონკრეტული წესი არ არსებობს. ამდენად ცვლილებით აღნიშნული პრობლემა მოგვარდება.

ასევე, გაჩნდება დანაწესი, რომლითაც დაკონკრეტდება, თუ როგორ ხდება კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდება(დებულების) დამტკიცება, ხელმძღვანელის დანიშვნა და მათი საქმიანობის კონტროლი. აღნიშნული ცვლილება ასევე გავრცელდება სხვა მუნიციპალიტეტებზეც (**75-ე მუხლის „დ.ბ“ ქვეპუნქტი**).

თბილისის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებით კანონპროექტით გათვალისწინებულია რამოდენიმე ცვლილება (**79-ე მუხლის პირველი, მე-7, მე-11 პუნქტები**). კერძოდ ცვლიების შესაბამისად თბილისის სსიპ-ის ხელმძღვანელის დანიშვნა გათავისუფლებაზე გადაწყვეტილებას მიიღებს თბილისის მთავრობა, რადგანაც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საკრებულოს მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს თბილისის მთავრობა. აღნიშნული ცვლილება გაამარტივებს სსიპ-ების მართვას საოპერაციო დონეზე, დააჩქარებს პროცესებს და თუ აქამდე ხელმძღვანელის დასანიშნად საჭირო იყო სამი აქტი, რომელიც უნდა გამოეცა ორ კოლეგიურ ორგანოს მთავრობასა და საკრებულოს, ცვლილება შესაძლებელს გახდის მხოლოდ მთავრობის აქტის საფუძველზე მოხდეს ხელმძღვანელის დანიშვნა და გათავისუფლება. მით უმეტეს, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თბილისის სსიპ-ებზე კონტროლს ახორციელებს თბილისის მთავრობა.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებით ჩნდება დანაწესი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება მათთვის მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა, რაც განპირობებულია იმავე მიზეზებითა და პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემებით, რომლებიც განმარტებული იყო კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებული ცვლილებების ნაწილში.

ცვლილების შედეგად თბილისის სსიპ-ების გადაწყვეტილებები გასაჩივრდება თბილისის მერთან.

საკრებულოს ფუნქციას წარმოადგენს ქონების მართვის და განკარგვის წესების დადგენა, ხოლო თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა განხორციელება ზემოაღნიშნული

წესების საფუძველზე უნდა უზრუნველყოს მისმა აღმასრულებელმა ორგანომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოქმედი რედაქციის თანახმად, აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების განკარგავსთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება დამატებით საჭიროებს წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობას, რაც ზღუდავს თბილისის მთავრობის, როგორც აღმასრულებელ-განმკარგულებლის ფუნქციებს და იწვევს გარკვეულ დისბალანსს თვითმმართველობის ორგანოთა შორის.

წარმოდგენილი პროექტით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ითვალისწინებს თბილისის მიერ ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების უფლებამოსილებას, რაც შესაძლებელს გახდის იმ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას, რომლითაც ქ.თბილისის მერიას დაევალა გარკვეული პირებისათვის ქონების საკუთრებაში გადაცემა, ასევე ცვლილებით შესაძლებელი გახდება მოსახლეობის კანონიერი ინტერესების დროულად დაკმაყოფილება. ნიშანდობლივია ისიც, რომ მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხორციელების სანაცვლოდ, ინვესტორი ხშირად ითხოვს ქონების პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემას. ზემოაღნიშნული პროცედურა გაამარტივებს დედაქალაქში ინვესტიციების მოზიდვას, გაზრდის მის შემოსავალს, შექმნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების დამატებით შესაძლებლობას, ხოლო დედაქალაქი გამოიყენებს დაგროვებულ შემოსავალს მოქალაქეთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

გარდა პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისა, პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას საპრივატიზებო ფასის გადახდის ნაცვლად შესაძლებელი გახდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის სანაცვლო ქონების გადაცემა (გაცვლა), რაც საშუალებას იძლევა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შემთხვევაში, კერძო მესაკუთრეებისგან შესაბამისი უძრავი ქონების გამოსყიდვა განხორციელდეს ექსპროპრიაციის პროცედურის გარეშე(118¹ მუხლი).

გასათვალისწინებელია, რომ კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების მხოლოდ აუქციონის ფორმით, პრივატიზებასა და მართვის უფლებით გადაცემას. შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების პრივატიზება/მართვის უფლებით გადაცემა, ასევე თბილისის საკუთრებაში არსებული მოთხოვნებისა და უფლებების განკარგვა მოხდება პირდაპირი განკარგვის წესითაც, რაც შესაძლებლობას მისცემს თბილისის წილები, აქციები, მოთხოვნები და უფლებები საკუთრებაში ან მართვის უფლებით გადასცენ იმ პირს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს დადგენილ პირობებს (127-ე მუხლი).

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, თბილისის საკრებულო აღარ დაამტკიცებს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას, რადგან თვითმმართველის საპრივატიზებო ქონებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ყველა ის ქონება, რომელთა მიმართ წარდგენილ სარეგისტრაციო დოკუმენტაციას სარეგისტრაციო სამსახურები სრულყოფილად მიიჩნევენ და რომლის განკარგვის უფლებაც მუნიციპალიტეტს გააჩნია კანონის საფუძველზე.

თბილისის მთავრობის უფლებამოსილი წარმომადგენელი განხორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სახელშეკრულებო პირობების შესრულებაზე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, თბილისში შექმნილია საჯარო სამართლის

იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, რომელიც ქონების პრივატიზებისას, მართვის ან სარგებლობის უფლებით გადაცემისას ან სხვაგვარად განკარგვისას მოქმედებს როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი (რწმუნებული). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს უფლებამოსილებათა წრე, რომელსაც სააგენტო განახორციელებს დამოუკიდებლად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში. კანონპროექტის თანახმად, წარმომადგენელი გადაწყვეტილებას იღებს ისეთ საკითხებზე როგორცაა, თბილისის ქონების უპირობო აუქციონის ფორმით განკარგვა, თბილისის საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის, თბილისის 100-პროცენტისანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ან/და თბილისის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ **120-ე მუხლის მე-2 პუნქტის** თანახმად, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი შეიცავს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ძირითად პირობებს და მხარეთა უფლება-მოვალეობებს. აღნიშნული ოქმის საფუძველზე ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდება მხოლოდ მხარის მოთხოვნის საფუძველზე. სხვა შემთხვევაში, კანონპროექტი არ ითვალისწინებს აუქციონში გამარჯვების შემდეგ გარკვეულ ვადაში მყიდველის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ვალდებულებას, რაც გაამარტივებს და შეამოკლებს პროცედურებს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ **108-ე მუხლის** თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობებით ან მათ გარეშე), აგრეთვე წილები/აქციები (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით. კანონპროექტით ცვლილება შედის არნიშნულ დანაწესში და ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიმღებად თბილისში განისაზღვრება მთავრობა, რითაც უფრო ეფექტურად მოხდება ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა. ასევე ჩნდება რეგულაცია, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი იქნება საკუთარი ქონება უსასყიდლოდ გადასცეს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ავტონომიურ რესპუბლიკასაც.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებული იქნება, მესაკუთრის წარმომადგენლის (რწმუნებულის) ან ამ მიზნით შექმნილი თბილისის საჯარო სამართლის იურიდიული პირის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის. აღნიშნული სიახლე კანონპროექტის თანახმად ვრცელდება, როგორც თბილისზე ასევე სხვა მუნიციპალიტეტებზეც.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი მოძრავი ქონების განკარგვის წესებისგან განსხვავებულ წესს დაექვემდებარება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად კონფისკაციაქმნილი მოძრავი ქონება. ზემოაღნიშნული რეგულაციის შემოღება განპირობებულია შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების მალფუჭებადობით (**118-ე მუხლი პირველი და მე-3 პუნქტები**).

კანონპროექტის თანახმად, კოდექსის თავი XIII (მუნიციპალიტეტის ქონება) არ გავრცელდება კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე, რადგან აღნიშნულ ურთიერთობას არეგულირებს საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტი (104-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი).

წარმოდგენილი ცვლილების პროექტით, თბილისის მუნიციპალიტეტს შესაძლებლობა ეძლევა განახორციელოს მის საკუთრებაში არსებული წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პრივატიზება პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით. აღნიშნული ცვლილება შესაძლებლობას აძლევს თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთარი ქონების განკარგვისას კიდევ ერთი დამატებითი ფორმა გამოიყენოს, რაც კიდევ უფრო მოქნილს გახდის მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი ქონების მართვასა და სამომავლოდ იძლევა, მუნიციპალიტეტის შემოსავლის ზრდის, შესაძლებლობას. ცვლილებამ განაპირობა აუცილებლობა ტერმინთა განმარტებაში გაჩენილიყო „უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟის“ განმარტება, რომელიც დაემატა კოდექსის 105-ე მუხლს.

კანონპროექტი ითვალისწინებს საპრივატიზებო პროცესში საინვესტიციო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი განკარგულების მიღებიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე, ხოლო აუქციონის შემთხვევაში – აუქციონის ჩატარებიდან 1 თვის ვადაში საინვესტიციო ვალდებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულებას, რომლის ვადაც არანაკლებ 4 თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას.

ამასთან, კანონპროექტის თანახმად, ქონების შემძენს უფლება აქვს საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების მიზნით იპოთეკით დატვირთოს შემძენილი უძრავი ქონება მხოლოდ თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის (რწმუნებულის) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანხმობით. იმ შემთხვევაში, თუ შემძენის მიერ დაირღვა შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობები, ამ საფუძვლით ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში პრივატიზებული ქონება ბრუნდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირთა იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებული იყო საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია.

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანა განპირობებულია საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის, მუნიციპალური ქონების განკარგვისა და სარგებლობაში გადაცემის პირობების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებისა და ამ კუთხით მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დაზუსტების აუცილებლობით. გარკვეული ობიექტური გარემოებების გამო, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შესაძლოა ინვესტორმა ვერ შეძლოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული ან დროული შესრულება, რაც წარმოშობს საჭიროებას საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის თანხმობით და საკრებულოს გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განიხილოს პრივატიზებული/სარგებლობის

უფლებით/მართვის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო და ფინანსური პირობის (პირობების) შეცვლის ან შესრულების ვალდებულებებისგან განთავისუფლების საკითხი. აღნიშნული მიზნად ისახავს ინვესტიციების წახალისებას - პირობით პატიებას, რათა ინვესტორმა შეძლოს საქმიანობის განახლება და პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი თანხის უშუალოდ საინვესტიციო პროექტების სამომავლო განვითარებისათვის მოხმარება. გამომდინარე ზემოთქმულიდან კანონს დაემატა მუხლი, რომლითაც დეტალურად გაიწერა თუ როგორი პროცედურებით ხდება პირის გათავისუფლება ნაკისრი ვალდებულებებისაგან, მათ შორის საინვესტიციო და ფინანსური. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარეობს გარდამავალ დებულებებში განხორციელებული დამატება, რომლის თანახმადაც აუქციონის წესით განკარგვის შემთხვევებში ვალდებულებებისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ განკარგვა განხორციელდა 2013 წლის 31 დეკემბრამდე. სხვა შემთხვევებზე მსგავსი შეზღუდვა არ ვრცელდება.

პროექტით ცვლილება შედის თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღების რეგულაციებში (მე-100 მუხლი). არსებული რედაქციით გრანტის მიღების პროცესი საკმაოდ გაჭიანურებულია. იმისათვის რათა მუნიციპალიტეტმა მიიღოს გრანტი საჭიროა საკრებულოს წინასწარი თანხმობა რომელიც აღმასრულებელი ორგანოს მიერ უნდა იქნეს გამოთხოვილი, ხოლო აღნიშნული თანხმობის საფუძველზე კვლავ აღმასრულებელმა ორგანომ უნდა გამოითხოვოს თანხმობა საქართველოს მთავრობისაგან. ვინაიდან თავისი შინაარსით გრანტი, არავითარ დამატებით ვალდებულებებს არ წარმოშობს მუნიციპალიტეტისათვის და იგი მხოლოდ გრანტის გამცემის მიერ კეთილი ნების საფუძველზე, ფულადი ან ნატურალური ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრებია, მათი მიღებისათვის მსგავსი გაჭიანურებული პროცედურა გაუმართლებელია. ამიტომაც, ცვლილების საფუძველზე თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილი იქნება საკრებულოს წინასწარი თანხმობით მიიღოს გრანტი. ცვლილება გაადვილებს და მოქნილს გახდის თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებას და მისი შესაბამისად დანიშნულებისამებრ დროულად გამოყენებას.

გარდა ზემოთქმულისა ასევე ცვლილების შესაბამისად ახლებურად რეგულირდება თბილისის მიერ ასაღები სესხის მაქსიმალური მოცულობა. საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასული 3 საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების საშუალო წლიური ოდენობის 10 პროცენტს. ვინაიდან თბილისის მერიის წინაშე არსებული ამოცანების და შესასრულებელი სამუშაოების მასშტაბების სრულად დაკმაყოფილებას ვერ უზრუნველყოფს თბილისის ბიუჯეტის შემოსავლები, აუცილებელია დამატებითი სახსრების მოზიდვა. კოდექსის აღნიშნული ფორმულირების მიხედვით თბილისის მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა სესხის სახით აიღოს არაუმეტეს 60,0 მლნ ლარისა, რაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გადაჭრილ იქნას დღეს არსებული პრობლემები. აქედან გამომდინარე საჭიროა კოდექსის აღნიშნული ფორმულირების შეცვლა და შემდეგნაირად ჩამოყალიბება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე რომლების მოექცევიან ამ კანონპროექტის რეგულირების სფეროში.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.დ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები გია ჟორჯოლიანი და ერეკლე ტრიპოლსკი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები გია ჟორჯოლიანი და ერეკლე ტრიპოლსკი